ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 9 09 2020 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანება № 24

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2019 წლის 3 აპრილის №13 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ღ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომოადგენლის 2019 წლის 3 აპრილის №13 ბრძანებით დამტკიცებულ „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკაში“ და მის პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. უნივერსიტეტში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.“

2. დაევალოს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი

ბოდბელი მთავარეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი) + მუ ... იაკობი